



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 157/19¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე კაკიაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორები არიან სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის დედა და მისი ადვოკატი, რომლებმაც ეთიკის კომისიაში საჩივარი შემოიტანეს ბრალდებულის ადვოკატის წინააღმდეგ. დაზარალებულის დედის პრეტენზია შეეხებოდა ბრალდებულის ადვოკატთან ბოლნისის რაიონული სასამართლოს დერეფანში შეხვედრის ფაქტს და მასთან გამართულ დიალოგს. აღნიშნული დიალოგის ვიდეო-აუდიო ჩანაწერი საქმეში წარმოდგენილი იყო. მოცემულ ჩანაწერში ბრალდებულის ადვოკატმა სასამართლოს დერეფანში პროცესის დაწყებამდე დაზარალებულის დედას, რომელიც იმავე საქმეზე მოწმედ იკითხებოდა, მიმართა შემდეგი სიტყვებით: „მოსულები ხართ?... რა გგონიათ ეხლა?... თქვენ ვინ ხართ? (სავარაუდოდ, დაზარალებულის ადვოკატს მიმართავს). ჩანაწერზე გარკვევით არ ჩანს, სად სხედან საჩივრის ავტორები და ადვოკატი. შემდგომ, ბრალდებულის ადვოკატი მიმართავს დაზარალებულის დედას შეკითხვებით: „ქალბატონია დედა, ბავშვის ხო? თქვენ ხართ დედა? დაზარალებული ბავშვის ხომ?... არა შეგეკითხეთ უბრალოდ“, „ეს თქვენი ძმა არის? ზაზა რატომ არ მოიყვანეთ. შეკითხვებზე პასუხები გარკვევით არ ისმის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ისმის დაზარალებულის დედის პასუხი: „დიახ“. საჩივრის ავტორის პრეტენზია ასევე შეეხებოდა უშუალოდ სასამართლო სხდომის დროს ბრალდებულის ადვოკატის მიერ დასმულ შეკითხვებს, რამაც მისი დაზარალება გამოიწვია. რაც შეეხება დაზარალებულის ადვოკატის პრეტენზიას, ბრალდებულის ადვოკატმა მოსთხოვა იქვე მყოფ ბადრაგს, რომ მისგან შორს, სასამართლოს მისაღებიდან გაეყვანა ადვოკატი კერძოდ, მიუთითა: „დროზე გაიყვანეთ ეს ქალი, ვერ ხედავთ თავს დამესხა?“, თუმცა აღნიშნულს წინ უსწრებდა ადვოკატებს შორის ასევე დიალოგი „რასაც მოყვა კონფლიქტი და ამის შემდეგ ბრალდებულის ადვოკატმა დაზარალებულის ადვოკატის მისამართით წარმოთქვა ფრაზა: „გაიყვანეთ“.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ შეაფასა ადვოკატის ქმედება ორივე მომჩივანის მიმართ. ადვოკატის მიერ წარმოთქმული სიტყვები შეფასდა პროცესის მონაწილე პირთა უფლებების შესაძლო დარღვევის ჭრილში და კოლეგიალობის ღირებულების ფარგლებში. კოლეგიამ შეაფასა ადვოკატსა და დაზარალებულის დედას შორის სასამართლოს დერეფანში გამართული დიალოგი ეთიკურად. ჩანაწერით არ დგინდება საჩივრის ავტორის მიმართ ადვოკატის მიერ გამოხატული კომუნიკაციის ისეთი ფორმა (მათ შორის ხმამაღალი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული ტონი), რომელსაც შესაძლებელია, პროცესის მონაწილის უფლებების შელახვა გამოიწვიოს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა საჩივრის ავტორს რეალურად არც სურდა ადვოკატთან კომუნიკაცია. დაზარალებულის დედის მეორე პრეტენზია შეეხებოდა უშუალოდ სასამართლო სხდომაზე მის მიმართ ადვოკატის ქცევას. დაზარალებულის დედა სასამართლო პროცესზე, გამოიკითხა, როგორც მოწმე და ჩანაწერით დგინდება, რომ ადვოკატი ჩვეულებრივ ტონალობაში სვამდა შეკითხვებს. კოლეგიამ განმარტა, რომ ადვოკატი მოქმედებდა თავისი კლიენტის სასარგებლოდ და სასამართლო სხდომაზე გაჟღერებული პოზიციები ვერ იქნებოდა საჩივრის ავტორისთვის მოსაწონი. ჩანაწერით ასევე არ დგინდება, რომ ადვოკატი დაზარალებულის დედას, როგორც მოწმეს მიმართავდა ისეთი ფრაზებით ან მის მიმართ

¹<https://gba.ge/pdf/5fe5faafb48f2.pdf/157.19%20%20ar%20adgzvra%2007.08.2020.pdf>

გამოხატა ისეთი სახის არავერბალური კომუნიკაცია, მათ შორის ჟესტიკულაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა კოლეგიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ემსჯელა ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილე პირთა უფლებების შელახვის დარღვევის თაობაზე. საჩივრის მეორე ავტორის, დაზარალებულის ადვოკატის მიმართ წარმოთქმული სიტყვები კი შეფასდა კოლეგიალობის პრინციპის ფარგლებში. კერძოდ, ადვოკატებს შორის სასამართლოს სხდომის დარბაზში გაიმართა დიალოგი, რამაც გამოიწვია კონფლიქტი, რაც უკავშირდებოდა დაზარალებულის საქმეს. ერთი მხრივ საჩივრის ავტორი ადვოკატი იცავდა თავისი კლიენტის, მოწმის ინტერესებს, ხოლო მეორე მხრივ ბრალდებულის ადვოკატი იცავდა თავისი კლიენტის ინტერესებს. მნიშვნელოვანია გარემოება ის, რომ ბრალდებულის ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისადმი მითითებას შემდეგი ფრაზით „გაიყვანეთ“, წინ უსწრებდა დაზარალებულის ადვოკატის მიერ მასთან მისვლა და გამოლაპარაკება, რამაც შემდგომ მათ შორის წარმოქმნა უთანხმოება. საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ბრალდებულის ადვოკატს არ მიუმართავს აგრესიული ტონით ან ისეთი ფრაზით, რაც საფუძველს მისცემდა ეთიკის კომისიას კოლეგიალობის პრინციპი დარღვევით აღებრა დისციპლინური დევნა საჩივრის ავტორი ადვოკატის მიმართ.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ არ აღებრა დისციპლინური დევნა აპეკ-ის მე-7, მე-9 და 10.1 მუხლების საფუძველზე.